წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

სხდომის ოქმი N22

ქ.წალენჯიხა 25 ნოემბერი 2015 წელი

სხდომას თავმჯდომარეობდა საკრებულოს თავმჯდომარე თემურ ღვინჯილია

საკრებულოს 29 წევრიდან სხდომას ესწრებოდა 25 დეპუტატი: გონერ კვარაცხელია, ვლადიმერ გაბელია, ასმათ კვარაცხელია, დალი კვარაცხელია, ილია გულუა, ანზორ ფიფია, ვახტანგ ქუჩულორია, დავით ბელქანია, ლევან ფიფია, დარეჯან დადიანი, ნესტან გოგოხია, მარინა კალანდია, ივერ კვარაცხელია, ნონა კვარაცხელია, ზესიკ ფარცვანია, კობა შანავა, ვლადიმერ კვარაცხელია, ბორის კვარაცხელია , ცოტნე მესხია, ელგუჯა მესხია, ბაჩუკ უბილავა, მალხაზ ფიფია,დავით ფიფია, ლევან შელია.

სხდომას აგრეთვე ესწრებოდნენ: წალენჯიხის მუნიციპალიტეტის გამგებელი გ.გულორდავა, წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის, მუნიციპალიტეტის გამგეობის სამსახურების, ა(ა)იპ –ების , საზოგადოების, მასმედიის წარმომადგენლები.

სხდომა დაიწყო: 12:00სთ.
სხდომა დასრულდა: 14:00 სთ.

სხდომის თავმჯდომარემ თემურ ღვინჯილიამ სხდომა გახსნილად გამოაცხადა და საკრებულოს წევრებს გააცნო საკრებულოს სხდომის დღის წესრიგი.
საკრებულოს წევრებს წარმოდგენილი საკრებულოს სხდომის დღის წესრიგის პროექტის მიმართ შენიშვნა ან დამატება არ დაუფიქსირებიათ.

სხდომის თავმჯდომარემ ბ.ნ თემურ ღვინჯილიამ კენჭი უყარა დღის წესრიგის პროექტს წარმოდგენილი სახით.(განკარგულება N64).

კენჭისყრის შედეგი: მომხრე 25 დეპუტატი; წინააღმდეგი- არცერთი.

დღის წესრიგი:

1. წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 25 ნოემბრის საკრებულოს სხდომის დღის წესრიგის დამტკიცების თაობაზე;
   მომხსენებელი: თემურ ღვინჯილია–მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე.
2. წალენჯიხის მუნიციპალიტეტის 2016 წლის ბიუჯეტის პროექტისა და 2016–2018 წლების პრიორიტეტების დოკუმენტის თაობაზე
   მომხსენებელი: ვლადიმერ გაბელია–საკრებულოს სამანდატო, იურიდიული და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის თავმჯდომარე
3. „წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ“ წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 24 ივლისის №14 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე
   მომხსენებელი: ვლადიმერ გაბელია–საკრებულოს სამანდატო, იურიდიული და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის თავმჯდომარე

მოისმინეს:2 წალენჯიხის მუნიციპალიტეტის 2016 წლის ბიუჯეტის პროექტისა და 2016–2018 წლების პრიორიტეტების დოკუმენტის თაობაზე

საკითხი წარმოადგინა საკრებულოს იურიდული, სამანდატო და საპროცედურო საკითხთა კომისიის თავმჯდომარემ ვლადიმერ გაბელიამ.

საკრებულოს წევრებს, დამსწრე საზოგადოებას გააცნო საკითხტან დაკავშირებით განკარგულების პროექტი, რომელიც ითვალისწინებდა 2016 წლის ბიუჯეტის პროექტის 2016 –2018 წლების პრიორიტეტების დოკუმენტთან და საკითხებთან დაკავშირებით წარმოდგენილ შენიშვნებთან ერთად მუნიციპალიტეტის გამგებლისთვის დაბრუნებას.

აღნიშნულთან დაკავშირებით საკრებულოს წევრებს განსხვავებული აზრი არ დაუფიქსირებიათ.

საკითხთან დაკავშირებით წარმოდგენილი გადაწყვეტილება საკრებულოს მიერ ერთხმად მიღებულიქნა ცნობად. (N65) .

მოისმინეს: 3 .„წალენჯიხის მუნიციპალიტეტის 2014 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2013 წლის 25 დეკემბრის N 39 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ .

საკითხი წარმოადგინა საკრებულოს იურიდული, სამანდატო და საპროცედურო საკითხთა კომისიის თავმჯდომარემ ვლადიმერ გაბელიამ.

საკითხთან დაკავშირებით საკრებულოს წევრებს განსხვავებული აზრი არ დაუფიქსირებიათ.

სხდომის თავმჯდომარემ ბ–ნ თ.ღვინჯილიამ მიზანშეწონილად ჩათვალა წარმოდგენილ დადგენილების პროექტზე კენჭისყრა.

ღია კენჭისყრაზე ერთხმად (მომხრე 25 დეპუტატი, წინააღმდეგი არცერთი) მიღებულიქნა შესაბამისი დადგენილება (N45)

ამით საკრებულოს სხდომამ მუშაობა დაასრულა.

სხდომის თავმჯდომარე: - თემურ ღვინჯილია

საქართველო
წალენჯიხის მუნიციპალიტეტის
საკრებულო
GEORGIA
COUNCIL OF MUNICIPALITY OF
TSALENJIKHA

5200. ქ. წალენჯიხა, კ. სალიას ქ.N5. ტელ : (+995)595 24 20 05; (+995)591 06 41 41;
5200.k.Salia st. N5, Tsalenjikha, Georgia. Tel. (+995)595 24 20 05; (+995)591 06 41 41;
E-mail. admin@tsalenjikha-Sakrebulo.ge; tgvinjilia@gmail.com. www. tsalenjikha-Sakrebulo.ge

ქ. წალენჯიხა 25 ნოემბერი 2015 წელი

წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

განკარგულება N64

წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 25 ნოემბრის საკრებულოს სხდომის დღის წესრიგის დამტკიცების შესახებ.

საქართველოს ორგანული კანონი „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი"–ს 24–ე მუხლის, მეორე ნაწილის და წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის შესაბამისად,

I. დამტკიცდეს წალენჯიხის მუნიციპალიტეტის 2015 წლის 25 ნოემბრის საკრებულოს სხდომის დღის წესრიგი შემდეგი რედაქციით:

1. წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 25 ნოემბრის საკრებულოს სხდომის დღის წესრიგის დამტკიცების თაობაზე;

მომხსენებელი: თემურ ღვინჯილია–მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე.

2.წალენჯიხის მუნიციპალიტეტის 2016 წლის ბიუჯეტის პროექტისა და 2016–2018 წლების პრიორიტეტების დოკუმენტის თაობაზე

მომხსენებელი: ვლადიმერ გაბელია–საკრებულოს სამანდატო, იურიდიული და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის თავმჯდომარე

3.„წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ" წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 24 ივლისის №14 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

მომხსენებელი: ვლადიმერ გაბელია–საკრებულოს სამანდატო, იურიდიული და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის თავმჯდომარე

II. განკარგულება ძალაშია კანონით დადგენილი წესით, გაცნობისთანავე.

III. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ერთი თვის ვადაში ზუგდიდის რაიონულ სასამართლოში (მისამართი: ქ. ზუგდიდი, გრ.ქობალია ქ. 12).

წალენჯიხის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე: თემურ ღვინჯილია

საქართველო
წალენჯიხის მუნიციპალიტეტის
საკრებულო
GEORGIA
COUNCIL OF MUNICIPALITY OF
TSALENJIKHA
5200. ქ. წალენჯიხა, კ. სალიას ქ.N5. ტელ : (+995)595 24 20 05; (+995)591 06 41 41;
5200.k.Salia st. N5, Tsalenjikha, Georgia. Tel. (+995)595 24 20 05; (+995)591 06 41 41;
E-mail. admin@tsalenjikha-Sakrebulo.ge; tgvinjilia@gmail.com. www. tsalenjikha-Sakrebulo.ge

ქ. წალენჯიხა

25 ნოემბერი 2015 წელი

წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

განკარგულება N65

წალენჯიხის მუნიციპალიტეტის 2016 წლის ბიუჯეტის პროექტისა და 2016–2018 წლების პრიორიტეტების დოკუმენტის თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 61–ე მუხლის მე–2 პუნქტისა და 91–ე მუხლის მე–4 პუნქტის, საქართველოს კანონის „საბიუჯეტო კოდექსის“ 78–ე მუხლის მე–3 ნაწილის შესაბამისად,

1. მიღებულიქნეს ცნობად წალენჯიხის მუნიციპალიტეტის 2016 წლის ბიუჯეტის პროექტზე წარმოდგენილი შენიშვნები და 2016 წლის ბიუჯეტის პროექტი 2016–2018 წლების პრიორიტეტების დოკუმენტთან და წარმოდგენილ შენიშვნებთან ერთად დაუბრუნდეს მუნიციპალიტეტის გამგებელს შემდგომი რეაგირებისთვის.
3. განკარგულება ძალაშია კანონით დადგენილი წესით, გაცნობისთანავე.
4. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ერთი თვის ვადაში ზუგდიდის რაიონულ სასამართლოში (მისამართი: ქ. ზუგდიდი, გრ.ქობალიას ქ. 12).

საკრებულოს თავმჯდომარე: თემურ ღვინჯილია

წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

დადგენილება №45

2015 წლის 25 ნოემბერი

ქ.წალენჯიხა

„წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ“ წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 24 ივლისის №14 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის შესაბამისად, წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკრებულო **ადგენს:**

მუხლი 1.
„წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ“ წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 24 ივლისის №14 დადგენილებაში (www.matcne.gov.ge, 30/07/2014, სარეგისტრაციო კოდი: 010250040.35.104.016160) შეტანილიქნეს ცვლილება და დადგენილებით დამტკიცებული რეგლამენტის:

ა) 28-ე მუხლის მე-9 პუნქტიდან, 30-ე მუხლის მე-3 პუნქტიდან, 47-ე მუხლის მე-2 პუნქტიდან, 57-ე მუხლის მე-2 პუნქტიდან, 128-ე მუხლის მე-6 პუნქტიდან და 132-ე მუხლის მე-3 პუნქტიდან ამოღებულ იქნეს წინადადება: „ამ რეგლამენტის 135-ე მუხლით დადგენილი წესით“;

ბ) 119-ე მუხლი ამოღებულ იქნეს;

გ) ზოგიერთი მუხლი ჩამოყალიბდეს ახალი რედაქციით:
გ.ა) 22-ე მუხლის მე-3 პუნქტი:
„3. საკრებულოს ბიუროს სხდომის ოქმს აფორმებს და აქვეყნებს საკრებულოს აპარატი ბიუროს სხდომის ჩატარებიდან 10 დღის ვადაში.“;

გ.ბ) 33-ე მუხლი:
„კომისიის სხდომაზე დგება ოქმი, რომელშიც უნდა აისახოს კომისიის დასახელება, სხდომის ჩატარების დრო და ადგილი, მისი დღის წესრიგი, სხდომის თავმჯდომარისა და მასში მონაწილე წევრთა ვინაობა, ყველა წამოყენებული წინადადება, კენჭისყრის შედეგები და მიღებული გადაწყვეტილება. სხდომის ოქმს ხელს აწერს კომისიის თავმჯდომარე. კომისიის ოქმი ქვეყნდება ხელმოწერიდან 10 დღის ვადაში.“;

გ.გ) 86-ე მუხლის მე-6 პუნქტი:

„6. ბიუჯეტის პროექტებზე გამოთქმულ შენიშვნებზე გამგებლის დასკვნას და ბიუჯეტის შესწორებულ ვარიანტს (შესწორების შემთხვევაში) აქვეყნებს საკრებულოს აპარატი გამგებლის მიერ მისი შემოტანიდან 3 დღის ვადაში.";

გ.დ) 90-ე მუხლის მე-3 პუნქტი:

„3. საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის დასკვნა და ბიუჯეტთან დაკავშირებული შენიშვნები და წინადადებები წარედგინება საკრებულოს აპარატს და ქვეყნდება ბიუჯეტის შესრულების ანგარიშის გამოქვეყნებიდან არაუგვიანეს 10 დღისა.";

გ.ე) 131-ე მუხლი:

„131. საკრებულოს წევრი ვალდებულია, წელიწადში ერთხელ მაინც, არაუგვიანეს 1 ნოემბრისა, საკრებულოს შესაბამისი დადგენილებით განსაზღვრული წესით მოაწყოს საჯარო შეხვედრები მუნიციპალიტეტის ამომრჩევლებთან დაწარუდგინოს მათ ანგარიში გაწეული მუშაობის შესახებ, ანგარიშის განხილვისას უპასუხოს მუნიციპალიტეტის ამომრჩეველთა მიერ დასმულ შეკითხვებს.";

გ.ვ) 132-ე მუხლის მე-6 პუნქტი:

„6. საკრებულოს მუშაობის შეფასების მიზნით შეიძლება ჩატარდეს საზოგადოებრივი აზრის შესწავლა ამ რეგლამენტის 126-ე მუხლით დადგენილი წესით.".

მუხლი 2.

დადგენილება ძალშია გამოქვეყნებისთანავე.

საკრებულოს თავმჯდომარე: **თემურ ღვინჯილია**